საქართველო

38344-01-2-201710200941

საგარეო საქმეთა
სამინისტრო

№ 01/38344
20/10/2017

<u>სასწრაფო</u>

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ **ნინო ბერძულს**

ქალბატონო ნინო,

საქართველოს პოზიტიური იმიჯის ხელშეწყობის, ქვეყანაში გატარებული რეფორმების პოპულარიზაციისა და საერთაშორისო საზოგადოებისათვის საქართველოს ბოლოდროინდელი მიღწევების ნათლად წარმოჩენის მიზნით, საგარეო საქმეთა სამინისტრო გეგმავს უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში მიღწეული შედეგების ამსახველი საინფორმაციო დოკუმენტის შექმნას. აღნიშნული დოკუმენტი მიეწოდება საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებს, შემდგომში ადგილსამყოფელი და დაფარვის ქვეყნების ხელისუფლებების, არასამთავრობო ორგანიზაციების, სამეცნიერო-კვლევითი ცენტრების (Think tank), ბიზნეს გაერთიანებებისა და აკადემიური წრეებისათვის გაცნობის მიზნით (მათ შორის პრიორიტეტად განიხილება აშშ-ში საქართველოს საელჩოს მიერ აღნიშნული რეფორმების წარმოჩენა).

აღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, მ.წ. <u>26 ოქტომბრამდე, ინგლისურ ენაზე</u> მოგვაწოდოთ ინფორმაცია ბოლო 5 წლის განმავლობაში თქვენი უწყების მიერ განხორციელებული და მიმდინარე რეფორმების შესახებ. ამასთან, სასურველია, რომ ინფორმაცია არ აღემატებოდეს 10 გვერდს.

აქვე გაცნობებთ, რომ ზემოხსენებულ საკითხზე საკონტაქტო პირი იქნება საგარეო საქმეთა სამინისტროს ამერიკის დეპარტამენტის აშშ-სა და კანადის სამმართველოს მეორე მდივანი, მაია თავდგირიძე (მობ: 597 44 44 40; ელ. ფოსტა: mtavdgiridze@mfa.gov.ge).

პატივისცემით,
დავით ზალკალიანი

მინისტრის პირველი მოადგილე